პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
კვირა, 12 ოქტომბერი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ

№ 622 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სავლე ელს. 1
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

განცხადება

ორშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია ტფილისის საბჭოს პლენუმის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი:

1. განათლების განყოფილების მუშაობის ანგარიში.
2. ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის ანგარიში.
1) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთასავალდებულოა.—

პრეზიდიუმი.

ყურადღება უპარტიო წითელ არმიელებს.

წითელ-არმიელთა უმეტესობა უპარტიო მასას წარმოადგენს. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა მჭიდროდ დაუახლოვდეთ მათ; საჭიროა სოფლის გლეხის შვილის გონება კომუნისტურად გადამუშავდეს.

საქმე ის არის, რომ ჩვენი გლეხობის უმეტესობა, მართალია კომუნისტურ პარტიის თვალთსაზრისზე სდგას, მაგრამ დიდ უმეტეს შემთხვევაში იგი ვერ არის მკვიდრ ნიადაგზე დამყარებული.

ეს აიხსნება მით, რომ გლეხობა მდგომარეობით უნდა იყოს კომუნისტურ პარტიასთან.

მაგრამ მარტო მდგომარეობ არ კმარა. საჭიროა მეორე აუცილებელი მხარე—შეგნება.

მართლაც ვისთან უნდა წავიდეს ის გლეხი, რომელსაც იანვრამდე საკმარი სარჩოც არ მოსდის და საკუთარი თავიც ვერ შეუმოსავს?

თავისთავად ცხადია, კომუნისტურ პარტიასთან.

ამას უკარნახებს მას პირადი მდგომარეობა.

მაგრამ კაცი რომ ორივე ფეხებზე მედგრად იდგას ამისთვის საჭიროა შეგნებაც.

სად უნდა მიიღონ წითელ-არმიელებმა ეს შეგნება? თავისთავად ცხადია წითელ ყაზარმაში. ამისთვის კი საჭიროა მთელი პარტიული ძალის ამუშავება.

როგორც სამოქალაქო დაწესებულებებში, ისე სამხედროშიაც, პარტიულ მუშაობას ჩვენ ვეწევით კომუნისტურ პარტიების და კომკავშირელების უჯრედების საშუალებით.

აი ამ ორმა უჯრედმა უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა და მასწავლებლობა ჩვენს ჯარში მყოფ ახალგაზრდა წითელ-არმიელებს.

ჩვენი ამხანაგები ყოველ მხრივ უნდა ეცადონ მიიპყრან უპარტიო წითელ-არმიელების ყურადღება.

მარტო პარტიული მუშაობის წარმოება არ კმარა. საჭიროა კერძო ცხოვრებაშიც სამაგალითო იყონ ჩვენი ამხანაგები.

პირველ შთაბეჭდილებას და გავლენას ადამიანზე კერძო ცხოვრების ტარება ახდენს.

გარდა ამისა კერძო ცხოვრებას არ აქვს ოფიციალური ხასიათი.

მასში ადვილად შესწავლება ადამიანი.

თავი და თავი ადგილი კი, რასაკვირველია, პარტიულ ღია კრებებს უნდა დაეთმოთ.

ამ კრებებზე ყოველთვის არჩეული უნდა იქნეს საკითხები. ჩვენთვის, პარტიულებისათვის, ყველა საკითხი ერთნაირ მნიშვნელოვანია.

ასე არ არის უპარტიოსათვის. მათ მხოლოდ განსაკუთრებული საკითხები აინტერესებთ. და სწორეთ ამისთვის არის საჭირო საკითხების შერჩევა.

შერჩეული საკითხები მეტ ინტერეს გამოიწვევს დამსწრეთა შორის. მის გადაწყვეტაში მონაწილეობას მიიღებს ყველა. ეს კი მოგვცემს საკითხებში თვითგამორკვევას. უკანასკნელი კი ერთი უსაჭიროესთაგანია.

უმისოთ არამც თუ პარტიული მომუშავე, უბრალო მოქალაქეც ჩალის ფასად ღირს.

გარდა ამისა საჭიროა ჩვენს გაზეთში თავსდებოდეს კომუჯრედების მუშაობის და მიღწევების შესახებ. ამას მოითხოვს თვით საქმის ინტერესი.

პრესის საშუალებით უფრო ფართო მასას ეცოდინება ჩვენი მუშაობის შესახებ.

სამწუხაროდ ეს საქმე ნაკლებ არის დაყენებული.

პარტკორები ნაკლებად გვწერენ და თუ გვწერენ ისიც მკრთალ და უსიცოცხლო შინაარსით.

ყოველივე ეს მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას, როგორც ნაწილებში მომუშავე პარტამხანაგებისაგან, აგრეთვე პოლიტიკურ განყოფილებისაგან.

განსაკუთრებით საჭიროა პარტიული კორესპონდენტების ქსელის შექმნა. ეს კი პარტიული ხაზით უნდა გატარდეს.

მეტი ყურადღება უპარტიო წითელ-არმიელებს.

დიდი უმეტესობა მათი ჩვენ მივიღეთ ყოველ მომზადების გარეშე მდგომი. ჩვენი მოვალეობაა გადავაკეთოთ, გამოვაჯანგოთ და გონება გახსნილი დაუბრუნოთ სოფელს.

სოფელი ამას ელის ჩვენგან.

პარტიული მოვალეობაც ამასვე მოითხოვს,

რადიო-დეპეშები.

ინგლისის პარლამენტის დაშლის შემდეგ.

მოსკოვის გაზეთები მაკდონალდის დამარცხების შესახებ.

„იზვესტია“ და „პრავდა“ თავიანთ მოწინავეებში ეხებიან მაკდონალდის მთავრობის დამარცხებას.

„იზვესტიაში“ მოთავსებულია სტეკლოვის წერილი სათაურით „ვერ ასიამოვნა“, სადაც ნათქვამია:

„საეჭვოა მაკდონალდის გამარჯვება ახალ არჩევნებზე. უფრო საეჭვოა მის მიერ ხმების დიდი უმეტესობის მიღება, რომელიც ხელს შეუშლიდა კონსერვატორების დაბრუნებას სახელმწიფოს სათავეში, თუნდაც კოალიციაში ლიბერალებთან.

ლიბერალების პარტიაშიც რომ მოხდეს განხეთქილება და მისი ნაწილი შეუერთდეს მუშათა პარტიას, რათა მომავალ პალატაში შეადგინონ კვლავ ლიბერალურ-მუშური მთავრობა, ეს გარემოებებიც ვერ უშველის მაკდონალდს, ვინაიდან ლიბერალების მეორე დიდი ნაწილი მიემხრობა ასეთ შემთხვევაში კონსერვატორებს.

ხმის უმეტესობის მიღება მუშათა პარტიას შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ მას შესძლებოდა ღრმად აემოძრავებია ხალხის მასები და გამოეწვია მათში პოლიტიკური ალტყინება.

მაგრამ მუშათა პარტიისა და მაკდონალდის მთავრობის დღევანდელ მდგომარეობაში ამაზე ფიქრიც უაზროა“.

„პრავდაში“ მოთავსებულია **რადეკის** წერილი სათაურით **„ინგლისის პარლამენტის დაშლა“**, სადაც ნათქვამია:

მომავალ არჩევნებზე პოლიტიკურ ბრძოლის ცენტრში იქნება კომუნისტურ პარტია და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხი.

ეს არ უპასუხებს ინგლისის კომპარტიის დღე ანდელ ძალას.

კომუნიზმის შესახებ საკითხს სვამს არა იქ არა მუშათა კლასი, არამედ ინგლისის ბურჟუაზია. ის ამას ჩადის იმიტომ, რომ წითელი დროშის ქნევით ის შემოიკრებს თავის გარშემო უფრო მეტ წვრილ ბურჟუებს, ვინემ ამას შეასრულებდა მისი საკუთარი პროგრამა.

მაგრამ, თუმცა ინგლისის კომპარტია რიცხვობრივ ჯერ სუსტია, მაგრამ ის წარმოადგენს იდეას, რომელიც თანდათანობით მოეხვევა თავს ინგლისის მუშათა მასებს საქმის ვითარების გამო, ვინაიდან ის უჩვენებს ერთად ერთ შესაძლებელ გამოსავალს დღევანდელი მდგომარეობიდან.

ინგლისის ბურჟუაზია სცდილობს ისარგებლოს კომუნიზმის საფრთხის მუქარით. მაგრამ ამით ისარგებლებს მხოლოდ კომუნიზმი, ვინაიდან როცა მთელი ბურჟუაზიული პრესა მიაქცევს მასების ყურადღებას საკითხისაკენ კომუნიზმის შესახებ, როგორიც არ უნდა დასვას მან საკითხი, ამით ის გახსნის კომუნიზმის პროპაგანდის გზას უკეთესად, ვინემ ეს შეეძლო დღემდის ინგლისის კომპარტიას.

პარლამენტის არჩევნების წინ ინგლისში.

კონსერვატორები მოითხოვენ ლიბერალებთან შეთანხმებას.

კონსერვატორების პრესა მოითხოვს შეთანხმებას კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის, რისთვისაც ყოველ საარჩევნო ოლქში წამოყენებულ უნდა იქნას თითო კანდიდატურა ბურჟუაზიულ პარ-

---

ასეთია მაგისთანეების ბედი.

გაზეთებში უკვე არის ცნობები მაკდონალდის მთავრობის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ.

ვინ ჩააგდო ამ მდგომარეობაში ის?

მან, ვინც ტახტი მისცა, ე. ი. ინგლისის ბურჟუაზიამ.

მთავრობის თავმჯდომარეობა იარაღით ხელში არ მოუპოვებია მაკდონალდს. ის, როგორც სოციალ-დემოკრატებს სჩვევიათ, მდიდრებთან შეხმატკბილებით ფიქრობს მუშათა კლასის განთავისუფლებას.

ბრძოლა იარაღით და რევოლიუცია მას არ სწამს.

არ სწამს და ამ „არ რწმენის“ ნაყოფია მისი დღევანდელი მდგომარეობა.

როგორც ცეცხლი და თივა არ შეიძლება ერთად მოთავსდეს, ისე არ შეიძლება მუშათა და ბურჟუებთა ერთად მოთავსება.

ბურჟუაზია ყოველთვის მზათ არის გადაყლაპოს მუშა. ამიტომ მუშებიც მზათ უნდა იყონ მდიდრებისა და მემამულეების ბატონობის დასამხობად.

სწორეთ აქეთკენ მიილტვის ინგლისის მუშათა კლასი.

მაგრამ მას კვანტს უკეთებს მაკდონალდისთანა ვაჟბატონები და მდიდრებთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდებენ.

მდიდრებიც სარგებლობენ მენშევიკების სისულელით: ხან აქეთ აქნევინებენ თავს და ხან იქით.

განა მდიდრებმა არ მოუწყვეს ხელი ჩვენებურ მენშევიკებს ახლო წარსულში მომხდარ „გამოსვლებში“?

რასაკვირველია, მდიდრებმა.

სწორეთ ამ მდიდრებმა წამოასკუპეს მაკდონალდი სახელმწიფოს სათავეში.

რისთვის?

იმისათვის, რომ მუშებმა შეხედონ სათავეში მუშების პარტიის კაციაო და რევოლიუციაზე ხელი აიღონო.

მართლაც ეს რამოდენიმე თვეა წამოსკუპდა მაკდონალდი კოროლის ტახტზე და მთავრობას მუშური უწოდა. სინამდვილეში მას მუშური არა გაუკეთებია რა. რაც გააკეთა ისიც მუშების ზიანად.

რომ მაკდონალდს მკვიდრი ნიადაგი არ ქონდა ეს ეხლა ბრმისათვისაც აშკარაა.

მდიდრებს არ მოეწონათ მისი ნამოქმედარი, გამოუცხადეს უნდობლობა და მოარჩა, გათავდა.

სად არის აქ ძალა სახელმწიფოს მმართველის? არსად.

სულ სხვა ამბავი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ რომ მაკდონალდი ძალა უფლების პატრონი იარაღით შექმნილიყო.

მაშინ მის მხარეზე იქნებოდა შეიარაღებული და მჭიდრო ორგანიზაციებში ჩამოყალიბებული მუშათა კლასი.

ეს მას არ ყავს.

რის მაჩვენებელია ყოველივე ეს?

ეს იმის მაჩვენებელია, რომ სოციალ-დემოკრატიას (მენშევიკებს) არ ძალუძთ უხელმძღვანელონ მუშათა კლასს. მისი ხელმძღვანელობა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტურ პარტიას.

ინგლისის მუშაც ამას ელის.

დღეს მართალია იქ სუსტია კომუნისტური ორგანიზაციები, მაგრამ იგი დღითი დღე იზრდება, და შორს არ იქნება ის წუთი, როდესაც წითელი ოქტომბერი დამყაყებულ ლონდონსაც შეანძრევს.

შეანძრევს ისე, რომ მის შენძრევით დაიმსხვრევა არამც თუ ინგლისის ბურჟუაზიული წესწყობილების ტახტი, არამედ უფრო მეტიც.

მანამდე კი იმ წაჯექ-უკუჯექიაობას, რომელსაც იქ ვხედავთ ადგილი ექნება.

მაკდონალდი გუშინ მოიყვანეს დღეს გააგდეს. თუ დაჭირდათ ხვალ მოიყვანენ.

ასეთია ბედი ბურჟუაზიის ლაქიების.

—ი.

ტიიდანი·

ლიბერალური გაზეთები ჯერ არაფერს ამბობენ ამ გეგმაზე.

500 ოლქში.

ინგლისის მუშათა პარტიამ გადასწყვიტა წამოაყენოს თავისი კანდიდატები 500 ოლქში.

ეხლახან დაშლილ თემთა პალატაში კონსერვატორებს ქონდათ 257 ადგილი, მუშათა პარტიას—192, ლიბერალებს—158.

იაპონია-საბჭოთა მოლაპარაკება.

ნერვიული მდგომარეობა.

ოფიციალურ წრეების ცნობის თანახმად, იაპონიის მთავრობამ მიიღო იოშიზავას დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ იაპონია-საბჭოთა მოლაპარაკება ახლოს არის ჩაშლასთანო.

ოფიციალური წრეები ღელავენ და გაკვირვებას გამოსთქვამენ, რომ მოახლოვდა სახალინის ევაკუაციის ვადა, ხოლო კარახანი ასე გულგრილად უცქერის ამ საქმესო. საქმესთან კარგად გაცნობილი წრეები ფიქრობენ, რომ სახალინის ევაკუაცის ამ წელში აქვს მეტი მნივნელობა იაპონიისათვის, ვინემ საბჭოთა კავშირისთვისო.

ამერიკის პრესის განმარტებანი.

ამერიკის პრესა განმარტებას აძლევს მაკდონალდის დამარცხებას და აღნიშნავს, რომ მან დიდ შედეგებს მიაღწია საგარეო პოლიტიკის დარგში, მაგრამ დამარცხდა საშინაო პოლიტიკის საკითხებში.

ძლიერი შთაბეჭდილება.

მაკდონალდის დამარცხების ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთში.

მარცხენა ჯგუფები ფრთხილად ეხებიან მაკდონალდის დამარცხებას და ფიქრობენ, რომ ახალი არჩევნები კვლავ დაუბრუნებენ მაკდონალდს ძალაუფლებასო.

მემარჯვენეების გაზეთები არ ჰფარავენ თავის სიხარულს და იმედოვნებენ რომ არჩევნებში გაიმარჯვებენ კონსერვატორებიო.

პოლონეთი.

გლეხთა ახალი გამოსვლები.

პოლონეთში ერთ სოფელში მოჰკლეს უკრაინელი მღვდელი, რომელიც ეწეოდა აგიტაციას პოლონეთთან შერიგების სასარგებლოდ.

8 ოქტომბერს გლეხები თავს დაესხნენ ეიმუნტის მამულს და გაუწყვიტეს შინაური საქონელი.

მიღებულ იქნა ზომები მემამულეთა დასაცავად. მემამულეებს დაურიგდა იარაღები და გაცემულ იქნა განკარგულება ჩაყენებულ იქნას „საშიშ“ სოფლებში ჯარები.

სდგება სანაპირო დამცველი კორპუსი, რომელშიაც უნდა შევიდეს 60.000 კაცი.

ამერიკა და საბჭოთა კავშირი.

სენატორ ბორას ახალი გამოსვლა საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.

ამერიკის სენატორმა ბორამ განაცხადა, რომ ის იმავე პოზიციაზე სდგას საბჭოთა კავშირის ცნობაში, როგორც წინად.

მან ჩამოთვალა მრავალი სახელმწიფო, რომელმაც იცნო საბჭოთა კავშირი და აღნიშნა, რომ არ გავა ერთი წელიც არჩევნების შემდეგ, რომ ამერიკაც იცნობს საბჭოთა კავშირსო.

ახალი აჯანყება ბესარაბიაში და დობრუჯაში.

რუმინეთის გაზეთები იუწყებიან ახალ აჯანყებათა შესახებ ორშაის, კაგულისა და კერმანის ოლქებში (ბესარაბიაში).

ხდება აგრეთვე გლეხთა აჯანყება დობრუჯაში. ამის მიზეზია ის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ჩამოერთვა მიწები რუმინეთის ჩამოსახლებულთა სასარგებლოდ.

დობრუჯაში მოხდა შეტაკება გლეხ-თათრებსა და რუმინეთის ჩამოსახლებულთა შორის. დაიჭრა 45 რუმინელი, რომელთაგანაც რამოდენიმე გარდაიცვალა.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ თათრების მოსახლეობამ განდევნა რუმინელები. უკანასკნელებს ეხმარებოდა ჟანდარმერია.

რუმინეთის მთავრობამ ჩააყენა თათართა მოსახლეობაში დამსჯელი რაზმები.

დემონზის კომისიის მუშაობა.

პრესა მხოლოდ გაკვრით განმარტავს დემონზის კომისიის გამოცხადებულ ცნობას.

როგორც სჩანს საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მზადაა დასთანხმდეს საბჭოთა კავშირის ცნობაზე.

შეტაკება ბორინაჟში.

ბორინაჟში (ბელგიაში) მოხდა შეტაკება გაფიცულ სამთო-მადნო მუშებსა და ჟანდარმებს შორის, მოკლულ იქნა ერთი მუშა.

სოციალისტური ბელადები შეშინდენ, ისინი ევედრებიან მთავრობას მოსაშველეობაზე.

რადიო ყოველ მხრიდან

დემონსტრაცია პარიზში.

პარიზში ფინანსთა სამინისტროს შენობის წინ მოხდა სახელმწიფო მოსამსახურეთა დიდი დემონსტრაცია, რომელზედაც მოითხოვდენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

საფრანგეთი და ბელგია.

10 ოქტომბერს პარიზში განახლდა სავაჭრო მოლაპარაკება საფრანგეთსა და ბელგიას შორის.

გერმანიის სესხი.

სარეპარაციო კომისიამ მოიწონა 800 მილიონიან სესხის გამოცემის პირობები გერმანიისათვის.

კანდიდატურები.

ჯერ-ჯერობით ინგლისის ყველა პარტიებმა წამოაყენეს 1350 კანდიდატები, 500 კანდიდატი წამოაყენა მუშათა პარტიამ, 500 კონსერვატორებმა და 350 ლიბერალებმა.

მექსიკა და იაპონია.

მექსიკა და იაპონიას შორის დადებულ იქნა კომერციული ხელშეკრულება.

საუბარი წითელ არმიელთან ტერიტორიალურ ნაწილების შესახებ.

უეჭველია ყველა თქვენგანს გაგიგონიათ ლეგიონი, ვინაიდან ჩვენს დივიზიაში ტერიტორიალური არსებობს ასეთი.

მაგალითად 1 ლეგიონი არ არის ტერიტორიალური, მეორე კი ტერიტორიალურია. ალბათ ბევრი თქვენი ამხანაგებიდან მოხვდა ამ ტერიტორიალურ ლეგიონში, სხვები კი ძირედ ან ცხენოსან ლეგიონში.

ტერიტორიალური ლეგიონები ჩვენთვის ახალი სისტემის სამხედრო ერთეულებია.

წინეთ იყვნენ მხოლოდ ძირედი ლეგიონები, როგორც, მაგალითად, დღეს ჩვენი პირველი ლეგიონია. ეხლა შემოღებული იქმნა საბჭოთა კავშირში ახალი სამხედრო ერთეულები, ეგრედ წოდებული, ტერიტორიალური ნაწილები. როგორც ზევით ვსთქვი ასეთი ნაწილები ჩვენ დივიზიაშიც არის.

ვინაიდან ასეთი ნაწილები ახალია და მას ჩვენ წინათ არ ვიცნობდით, ამიტომ ყველა თქვენგანს უთუოთ აინტერესებს მისი შინაარსი, მისი ფორმები, დანიშნულება და განსხვავება.

მე მინდა შეძლების დაგვარათ გაგიმარტოთ და გაგაცნოთ ტერიტორიალური ნაწილების შემოღების მიზეზები, მათი ფორმები და შინაარსი.

უპირველეს ყოვლისა ყველა თქვენგანს დაებადება შემდეგი საკითხი: რატომ იქმნა შემოღებული ეს ახალი სამხედრო ერთეულები და რატომ არ დარჩა ძველი მეფის დროს არსებული მუდმივი ჯარი? რატომ უნდა შემოელო ჩვენ მთავრობას ახალი ფორმისა და შინაარსის სამხედრო ერთეულები?

თქვენ უთუოთ იცით რუსეთის დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა და დედა-აზრი.

რა მოხდა რუსეთში ამ შვიდი წლის წინათ, რა ცვლილება განიცადა რუსეთმა ამ უკანასკნელ ხანებში?

1917 წელს ძველი რუსეთი თავის დახავსებულ ბურჟუაზიულ წესწყობილებით დაემხო. რუსეთის მშრომელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხელში აიღო მართვა-გამგეობა და ძირიან ფესვიანათ შეცვლა სოციალურ-ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრება მთელ საბჭოთა კავშირში,

რუსეთის კაპიტალისტური წარმოება დაემხო, მან ადგილი დაუთმო საბჭოთა-სახელმწიფოებრივ წარმოებას. თუ ძველათ მეფის დროს ყველა საწარმოო მანქანები და ფაბრიკა-ქარხნები, კერძო—პირებს, მდიდრებს ეკუთვნოდა, დღეს ისინი რესპუბლიკის სრული საკუთრებაადა მისი ბატონ პატრონი მშრომელი ხალხია.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ რუსეთში სულ სხვა მთგომარეობა შეიქმნა და სათავეში მყოფმა მშრომელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საერთაშორისო მშვიდობიანობის ლოზუნგი წამოისროლა.

მეფის დროს სახელმწიფოს სათავეში მსხვილი მემამულეებისა, ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეების წარმომადგენელი იყვნენ. ისინი, რასაკვირველია, დამცველნი იყვნენ მათი ინტერესების და ვინაიდან თითეული მათგანი დაინტერესებული იყო თავისი ნაწარმოები გაესაღებია, მისთვის საჭირო იყო ბაზარი ესე იგი ისეთი ადგილები, სადაც ნაწარმოების გაყიდვა შეიძლებოდა.

ამ ნიადაგზე მეფის მთავრობას ხშირათ ომის წარმოება უხდებოდა, ვინაიდან არც ერთი სახელმწიფო მას ასეთ ადგილებს ანუ ბაზარს არ უთმობდა ან და კიდევ ერთდა იმავე დროს ორი ან სამი სახელმწიფო მოისურვებდა რომელიმე ბაზრის ანუ ადგილის ხელში ჩაგდებას თავის მემამულეების ან ქარხანა-ფაბრიკების მეპატრონეების სასარგებლოთ. და ამ ნიადაგზე ომი ატყდებოდა ხოლმე.

აქედან ცხადია რომ მეფის დროს საჭირო იყო ისეთი შეიარაღებული ძალა ანუ ჯარი რომელიც მაშინდელ მსხვილი მემამულეების ინტერესებს დაიცავდა და მისთვის იბრძოლებდა. და ასეთიც იყო ძველი მეფის ჯარი.

მაგრამ „ყოველთვის კოკამ წყალი არ მოიტანა“, მეფე ძირს ჩამოვარდა, მისი მთავრობა მას მიყვა. მშრომელმა ხალხმა მართვა- გამგეობა და საქონლის წარმოება ხელში აიღო. მემამულეებს მამულები და ფაბრიკა- ქარხნები ჩამოერთვა და ხალხს გადაეცა

შეიქმნა სულ სხვა ეკონომიური ურთ-ერთობა. ძველი ჯარი თავისი ძველი ფორმით და შინაარსით საჭირო აღარ შეიქმნა. უკანასკნელი რასაკვირველია სულ სხვა ფორმებში და მიზნებით გამსჭვალული, დროებით საჭირო შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის—შინაურ და საგარეო კონტრევოლიუციისაგან დასაცავად.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. შეიარაღებული ძალა სახელმწიფოს სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობის სარკე, და თუ უკანასკნელი რუსეთში ძირიან-ფესვიანათ შეიცვალა, მას უნდა მოყოლოდა შეიარაღებულ ძალების სისტემის შეცვლაც. და თუ ეს დღემდე არ მოხდა, ამის მიზეზი, როგორც ზევით ვსთქვი, ოქტომბრის რევოლიუციის დაცვის საჭიროებით იყო გამოწვეული.

თქვენ უკვე გაეცნობოდით კომუნისტურ პარტიის პროგრამას და იქ, აუცილებელია, ნახავდით ერთ მნიშვნელოვან მუხლს, რომელიც უარყოფს მუდმივ ანუ რეგულიარულ ჯარსა და მოითხოვს საერთო შეიარაღებას ე. ი. წინააღმდეგია მუდმივი ჯარისა და თავდაცვისათვის საჭიროთ სთვლის სამილიციო სისტემის შემოღებას, ანუ საყოველთაო შეიარაღებას.

დღეს უკვე მდგომარეობის მიხედვით ცხოვრებაში ტარდება ეს მუხლი. საბჭოთა კავშირის მთავრობა ცდილობს ნაწილობრივათ, თანდათანობით, მუდმივი ჯარების სისტემიდან გადავიდეს სამილიციო სისტემაზე. ამ მხრივ მთავრობის მიერ მიღებულია სათანადო ზომები და მოსალოდნელია რომ სავსებით განხორციელდება ეს ამ მოკლე მომავალში.

არსებობს თუ არა მართლაც სათანადო განსხვავება ძველსა და ახალ სისტემაში?

ეს ჩვენთვის ნათელი იქნება მაშინ, როდესაც მოვიგონებთ ძველი მეფის ჯარის ყოფა-ცხოვრებასა და მასში სამსახურს და მეორეს მხრივ გავეცნობით ახალ შეიარაღებულ ძალების სისტემას, მის ფორმას, შინაარსა და დანიშნულებას.

მეფის ჯარი იყო გამომხატველი და დამახასიათებელი კაპიტალისტურ საზოგადოების ზრახვების და მიზნების. ის იყო მტანჯველი და შემავიწროებელი მშრომელი ხალხისა როგორც ფიზიკურათ, ისე გონებრივათ და მატერიალურათ.

ვის არ ახსოვს ის აუტანელი და საშინელი სამხედრო ბეგარა მეფის ჯარში?

ვის არ ახსოვს ის აუწერელი ტანჯვა საწყალი მშობლებისა, რომლებსაც ხელიდან გამოსტაცებდენ ახალგაზრდას და ოთხი წლით რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში გზავნიდნენ, საიდანაც უმეტესობა საშინელი სენით შეპყრობილი ბრუნდებოდა.

ვის არ ახსოვს ის აუტანელი რეჟიმი ანუ წესრიგი, რომელიც არსებობდა მეფის ჯარის ყაზარმაში, რომელიც სატუსაღოს უფრო წააგავდა, ვიდრე ყაზარმას, ადამიანთა საცხოვრებელს.

ვის არ ახსოვს ჯარში გაყვანილ ეროვნებათა უმცირესობის ტანჯვა, როგორც მაგალითად ქართველის, სომეხის და სხვათა, რომელთაც რუსული ენის არაფერი გაეგებოდათ და მათ კი ყველაფრის ცოდნას რუსულ ენაზე სთხოვდენ.

ყველა ეს გათვალისწინებული ქონდა კომუნისტურ პარტიას, როდესაც ის უარყოფდა ძველი მუდმივი ჯარის სისტემას და თავის პროგრამაში შექონდა მუხლი სამილიციო სისტემის შესახებ.

მ. გ.

ჩვენ წითელ ჯარში

12 ოქტომბრისათვის დანიშნული პირველ ქართულ დივიზიის უპარტიო წითელ-არმიელთა კონფერენცია გადადებულია შემდეგისათვის. კონფერენციის მოწვევის დღის შესახებ თავის დროზე ეცნობება დივიზიის ყველა ნაწილებს.

ჩვენი ხმა.

(მე-6-ე ქართ. ლეგიონში.)

დადგა მენშევიკური პარტიის აღსასრული. დაკრა უკანასკნელმა საათმა მათი ძირ-ფესვიანად აღმოფხვრისა. ყოველი სულდგმული სიკვდილის ჟამს ერთ უკანასკნელად გაიბრძოლებს და ასეთი უკანასკნელი გაბრძოლება იყო მენშევიკური პარტიისა ა. წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში. მან გარშემო შემოიკრიბა ყველა ის, ვისაც ძილშიაც ელანდებოდა დაკარგული ბედნიერება. და უკანასკნელი ცდა მოახდინეს „შეიძლება ბედმა გაგვიღიმოს და ბოლშევიკები დავამარცხო“-თო, მაგრამ ეს გამოვიდა უხეირო ხუმბრობა, წყლის ნაყვა და მეტი არაფერი. საბჭოთა ხელისუფლებამ თავის მედგარი წით. არმიით და კომ პარტიის საშვალებით-ერთი ხელის დაკვრით გააქრო მათი ავანტიურისტული ბანდიტური გამოსვლები დარჩნენ პირ-დაღებულნი: თავადები, მღვდლები, ოფიცრები და ერთი სიტყვით ყველა ისინი, ვინც ათეული და ასეული წლეების განმავლობაში ზედმეტ ბარგად აწვა მუშათა კლასს. ჩვენმა წითელმა არმიან კომ პარტიის ხელმძღვანელობით ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ჩვენს მტრებს, რომ ძირშივე მოჰკვეთავს მას ხელს ვინც რომ გაბედავს ჩვენს წინაამდეგ უბრალო თითის გაქნევასაც-კი. გააცამტვერებს მას ვინც ოდნავათაც გაბედავს და გულში გაივლებს საბჭოთა მთავრობის წინაამდეგობას.

როგორც ერთი, ისე დაირაზმა ამ ყაჩაღურ გამოსვლების წინაამდეგ მთელი წითელი არმია და მათ შორის რასაკვირველია მე-6 ლეგიონიც. არ აიწერება თავდადება და გამბედაობა ჩვენი ამხანაგების.

გავედით გენერალური რეპეტიციაზე, რომელზედაც თითეულმა კარგათ შეასრულა დაკისრებული როლი!

მთელმა შემადგენლობამ მე-6ე ლეგიონისამ ხმა-მაღლა შესძახა ჩვენს მტრებს:

შორს ჩვენგან ბინძური ხელები კონტრ-რევ. ბანდიტ-ავანტიურისტებისა.

ლახვარი მათ!
გაუმარჯოს წითელ-არმიას!
გაუმარჯოს კომუნიზმს!
პარტკორი: ალიოშა აცანელი.

მართალია?

ამხ. კომბოსტორს ისე მოსვლია, როგორც ერთი ჩვენი ხალხური ანდაზა ამბობს:

„ფოთში გალახული კაცი სამტრედიას სტიროდაო“.

რად დასჭირდა ამხ. კომბოსტორს 4 სექტემბერს მომხდარი ამბავი დაეწერა ერთი თვის შემდეგ? ალბად აქ სხვა მოვლენას ქონდა ადგილი. ვინ იცის იქნებ ამხ. კომბოსტორს ლეგიონის საელსმენო ოთახში თვითონ უნდოდა ელსმენი გამოეყენებინა სალაზღანდაროთ და მორიგემ ამის ნება არ მისცა.

ამხ. კომბოსტორს უნდა წაეკითხა საელსმენო ოთახის კედელზე გაკრული განცხადება, რომ იქ უსაქმოდ გაჩერება არ შეიძლება.

გაზეთ “წითელ არმიელის“ №618-ში მოთავსებული თქვენი ცნობა არ შეიცავს სიმრთლეს და ტყუილა უბრალოთ ცილს სწამებთ საკავშირო გუნდის წითელ არმიელებს.

პლ. გრიგოლია.

მივდივართ უვადო შვებულებაში.

ჩვენ ქარ. ცხენოსან ლეგიონის 1902 წ. დაბადებული წითელ არმიელები მივდივართ უვადო შვებულებაში.

წელიწად ნახევარია წითელი არმიის რიგებში ვიმყოფებით და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრი რამ შევიძინეთ.

მოვედით სხვა და სხვა კუთხიდან ბევრი ისეთები, რომლებმაც სრულებით არ ვიცოდით წერა-კითხვის არაფერი.

წითელ ყაზარმებში, ჩვენ შევისწავლეთ წერა-კითხვა.

აგვეხილა თვალები ცოდნაში ჩვენ ვპოვეთ დიდი ძალა.

წერა-კითხვის შესწავლით ჩვენ გამოვდივართ ნათელ ცხოვრების გზაზე და ვერკვევით ცხოვრების უარყოფითი და დადებითი მხარეებში. წითელ ყაზარმებში ჩვენ შევიძინეთ საბჭოთა ქვეყნის მოქალაქისათვის აუცილებელი როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ცოდნა.

წითელი ყაზარმა ჩვენი სკოლა იყო. დღეს ჩვენ ვტოვებთ ამ ჩვენ წითელ სკოლას. ვსცილდებით ჩვენ მასწავლებლებს და უბრუნდებით ჩვენ მშობლიურ კერას.

მივდივართ და თან მიგვყვება ჩვენი ღირსეული ადამიანების, უფროსი ამხანაგებისადმი პატივისცემა და სიყვარული, რომელიც არასოდეს არ ამოიშლება ჩვენი გულიდან.

მივდივართ, მაგრამ გვახსოვს ჩვენთვის მზრუნველი ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა. ვერავითარი ავანტიურა და მტრობა შავრაზმულ პარტიებისა მას ვერაფერს დააკლებს.

ჩვენ შეგნებულად უპასუხებთ მათ ცდებს მუშური ხელისუფლების ჩამოგდების საქმეში მთელი მშრომელი ხალხის სახელით.

ჩვენ ვემშვიდობებით ყაზარმულ ცხოვრებას და ფიცს ვსდებთ მთელ ჩვენ საბჭოთა ხალხის წინაშე, რომ თუ კი მოითხოვს საჭიროება პირველ დაძახებისთანავე მზად ვიქნებით, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

ბ. ტორონჯაძე.

ცხენოსან ლეგიონის უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელების საპატივსაცემლო საღამო.

7 ოქტომბერს, გარნიზონის საზაფხულო კლუბში მოეწყო ქართულ ცხენოსან ლეგიონის უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთა საპატივსაცემლო საღამო-წარმოდგენა. საღამოს დაესწრენ 1-ლ ქართ. მსრ. დივ. მეორე ტერ-ლეგიონის, საკავშირო და მესანგრე ცალკე ასეულების, დივლაზარეთის წითელ არმიელები, უფპოლიტშემადგენლობა, აგრეთვე მრავალი წითელ არმიელები და უფპოლიტშემადგენლობა რუსულ ნაწილებიდან, სამხედრო ინვალიდები, მბეჭდავთა კავშირის მუშები და სხვა მრავალი გარეშე მოქალაქენი.

ბაღი, თეატრი, კინო და სამკითხველო მორთული იყო სადღესისო პლაკატებით.

„წითელ კუთხეში“ (სამკითხველოში) გამოკრულია ცენტრალურ კლუბის და ცხენოსან ლეგიონის კედლის გაზეთები და სხვა.

ბაღში კიოსკიც (კოშკი) იყო, სწარმოებდა ნემსკავის პოლიტთამაში საჩუქრებით, რაც დიდ მხიარულებას იწვევდა წითელ არმიელებში.

7 ნახ. საათზე ბაღის თეატრის დარბაზში გაიხსნა მიტინგი პირველი დივიზიის პოლიტგანყოფ. უფროსის ამხ. კვირიკაძის თავმჯდომარეობით.

მოხსენება გააკეთა ამხ. თენგიზ ჟღენტმა, რომლის გამოჩენას მხურვალე ტაშით შეეგება მთელი დარბაზი.

ამხ. თენგიზი მიესალმა უვადო შვებულებაში მიმავალთ და გააშუქა წითელ არმიელთა მოვალეობა სოფლად, შეეხო საზოგადოდ წითელ არმიას, მის აღზრდას წითელ ყაზარმაში, სადაც იძენენ სამხედრო ცოდნასთან ერთად ყაზარმაში კულტურულ და პოლიტიკურ განათლებას, შეეხო აგრეთვე მენშევიკურ ავანტიურას საქართველოში, რომელიც ერთის ხელის მოქნევით გაანიავა ქართულ ნორჩმა ლაშქარმა და მათ შორის აღნიშნა ცხენოსან ლეგიონის და მისი ამ ჟამად უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელების თავდადება ამ გამოსვლების დროს.

ამხ. თენგიზი დაბოლოს მოუწოდებს მიმავალ ამხანაგებს, რათა წითელ ყაზარმაში შეძენილი ცოდნა მოახმარონ ჩვენს მშრომელ გლეხობის გათვითცნობიერებას, არ შესწყვიტონ კავშირი თავის აღმზრდელ წითელ ყაზარმასთან, წითელ ჯართან და სხვა.

ამხ. თენგიზის სიტყვა მქუხარე ტაშმა, „ვაშა-“ს ძახილმა დაფარა, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

ნაწილების მისალმება.

შემდეგ, მისასალმებელ სიტყვებით. გამოვიდენ მეორე ტერლეგიონიდან—ამხ. ლომაძე, ამავე კლუბის უფროსი, ამხ. ზილბერმაცი—გარნიზონის ნაწილების სახელით, რევტრიბუნალიდან,—ამხ. ხახაძე.

მიმავალ ცხენოსნების ფიცი.

ჩვენ პირნათლად შევასრულებთ მუშურ-გლეხურ მთავრობის დავალებებს.

საპასუხო სიტყვით მიმავალ ლეგიონების სახელით გამოვიდა ორი არმიელი.

მათ მთელ ლეგიონის სახელით ფიცი დასდვეს, რომ ამხ. ყველა დავალებებს პირნათლად შეასრულებენ სოფლად.

„ჩვენ ერთი დაძახებისთანავე ისევ გავნჩდებით ჩვენს რიგებში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენში და მის მესვეურებს“.

არმიელების სიტყვებს დიდი ოვაციებით შეეგება დარბაზი.

რეზოლიუცია.

დასასრულ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ ცხენოსან ლეგიონის უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებმა, მოვისმინეთ რა ამხ. თენგიზ ჟღენტის მოხსენება სოფლად ჩვენი მოვალეობის შესახებ, ვიძლევით მხედრულ ფიცს, რომელიც ჩვენთვის ესოდენ ძვირფასია, რომ ჩვენს აღმზრდელ წითელ ყაზარმაში მიღებულ კულტურულ-პოლიტიკურ თუ სხვა ცოდნა სავსებით გამოვიყენოთ სოფლებში ადგილობრივ გლეხობის გათვითსაცნობიერებლად.

ჩვენ, მიღებულ გამოცდილებას გადავსცემთ მშრომელ გლეხობას და მთელ ჩვენს ენერგიას შევსწირავთ სოფლების კულტურულად და ეკონომიურად აღორძინების საქმეს.

ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს, რომ ჩვენ უვადო შვებულებაში წასვლა არ მოასწავებს ჯარის რიგებს სრულიად მოცილებას.

ვიძლევით პატიოსან სიტყვას, როდესაც კი მოგვიწოდებს საბჭოთა ხელისუფლება, როგორც ერთი კაცი, კვლავ არმიის რიგებს მოვევლინებით და სასტიკად შევებრძოლებით მუშათა ხელისუფლების ყველა მტრებს.

ჩვენი გულის წყრომა და ზიზღი იმ მენშევიკ ავანტიურისტებს, რომლებმაც მოინდომეს მუშების და გლეხების ძალა-უფლების ჩამოგდება და კვლავ იმ საშინელ ტირანიის გამეფებას, რომელიც უკვე განიცადა ქართველმა ერმა მათი ბატონობის დროს.

ჩვენი სოფლად მისვლის შემდეგ, როგორც დღემდე ვიცავდით საბჭოთა ხელისუფლებას, ისე ამოუდგებით ადგილობრივ ხელისუფლებას გვერდში და ვითანამშრომლებთ მათთან მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ჩვენს დაუღალავ შრომას სოფლის კულტურის და მეურნეობის აღორძინების საქმეში.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას, რომლის რიგებშიაც ჩვენ აღვიზარდეთ.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

წინ, ერთგულად, დარჩენილო წითელ არმიელებო, რომლებმაც უნდა განაგრძნოთ ჩვენი მოვალეობა მშრომელი ხალხის წინაშე.

ძირს საბჭოთა ხელისუფლების მტრები.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას და მის ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას“.

სანი.

პარტიული ცხოვრება.

დივიზიის ლაზარეთში.

10 ოქტომბერს 1-ლ ქართულ მსროლელ დივლაზარეთის კლუბში ადგილობრივმა კომიაჩეიკამ მოაწყო ღია კრება, რომელზედაც დაესწრენ როგორც წითელ არმიელები, ისე უფპოლიტშემადგენლობა და მედპერსონალი.

დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება ჩინეთში მომხდარ ამბებზე, 2. კომპარტიაში შესასვლელ ამხ. ანკეტების გადასინჯვა, 3. სამნეო მდგომარეობა დივლაზარეთში, 4. უპარტიო წ. არმიელთა და „რემედასის“ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა.

ჩინეთში მომხდირ ამბების შესახებ გააკეთა მოხსენება სამხკომმა ამხ. იმნაიშვილმა.

ჯერ მომხსენებელმა აღწერა გეოგრაფიულად ჩინეთი და შემდეგ შეეხო ფართოთ მის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას.

მომხსენებელი კრებამ ტაშით და ოვაციებით დააჯილდოვა, რის დროსაც ისმოდა ხმები:

„შორს ხელი ჩინეთისაგან, ძირს ჯალათები, გაუმარჯოს ჩინეთის მშრომელ ხალხსო“.

კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება დაირსებულ იქმნეს საზოგადოება შემდეგ სახელით:

„შორს ხელი ჩინეთისაგან“.

გადასინჯულ იქმნა შემდეგ კომპარტიაში შესასვლელი ორი ანკეტა ამხ. ნ. დიანოვის და ვ. აბერლესი. პარტიაში შემსვლელ ამხანაგების ავტობიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ, ბევრი მნიშვნელოვანი შეკითხვები მისცეს, როგორც პარტიულ, აგრეთვე უპარტიო ამხანაგებმა.

უჯრედმა დაადგინა შუამდგომ-

ლობა აღძრას მათი პარტიაში მისაღებათ.

სამნეო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა დივლაზარეთის მნემ ამხ. ნ. ციციშვილმა.

კრებამ მოხსენება მიიღო დამაკმაყოფილებლათ და ცნობათ.

იქმნა არჩეული უპარტიო წითელ არმიელთა ყრილობაზე გასაგზავნათ ხუთი წ. არმიელი და ერთიც „რემედას“-ის ყრილობაზე.

რაჭველი შალიკო.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელი დროშა“ (1-ლ ქ. მ. დ. (ცალკე საკავშირო ასეულის კედლის გაზეთი)

1 ოქტომბერს გამოვიდა, საზეიმო ნომერი ამ ასეულის შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთა საპატივსაცემლოდ და 1 ინტერნაციონალის 60 წ. თავის აღსანიშნავად.

მეთაური წერილი ეხება უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთა მოვალეობას სოფლად.

მეორე წერილი—ამხ. ფოთელისა—ეხება პირველ ინტერნაციონალს, მის მიზნებს, ისტორიას, რომლის ტრადიციებს და პრინციპებს უღალატა მეორე ინტერნაციონალმა, და რომლის ნამდვილი მემკვიდრე, მხოლოდ, მესამე ინტერნაციონალია, რომელმაც განახორციელა პირველის მიერ დასახული მიზნები.

მესამე წერილი—ამხ. პ. დათიშვილის—(უვადო შვებულებაში მიმავალია) იგი თავის წერილში აღთქმას სდებს, რომ შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელის მოვალეობას სოფლად ისინი პირნათლად შეასრულებენ და გადასცემენ იმ ცოდნას გლეხობაში, რაც აქ, წითელ ყაზარმაში შეიძინეს.

შემდეგ მიდის ლექსები: 1. „უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს“—ამხ. ა. გ—სა და 2. „მღვდელი მარტოკა“—ამხ. გიოშვილისა. ბოლოს იუმორისტული განყოფილება.

გაზეთი დასურათებულია ფერებით- თავში დახატულია ქალაქი—ქარხნებით, სოფელი მთებით, მინდვრებით—წითელი მზე დაჰნათის ზემოდან. შუაში დგანან: წითელ არმიელი დროშით (უვადო შვებულებაში მიმავალი) და ახალწვეული (ნამგლით).

ერთმანეთს აბარებენ რა დროშას და ნამგალს: მიმავალი ეუბნება, რომ დაიცვას წითელი დროშა ისევე, როგორც იცავდა ის და ახალწვეული კი აბარებს—აქ რაც ცოდნა შეიძინა უხვად მოჰფინოს სოფლად, გლეხობას.

ცოტა ხელნაწერი წვრილი ასოებითაა, თორემ ისე გაზეთი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, აკლია აგრეთვე მრავალ ფეროვნება, რაიც აუცილებელია კედლის გაზეთისათვის, მრავალი განყოფილებით და სხვა.

სანი.

შეისწავლეთ სამხედრო ქიმია.

ქიმიური თავდასხმა ქალაქებზე

ამ უკანასკნელ შვიდი-რვა წლის განმავლობაში ყოველმა იმპერიალისტურ სახელმწიფომ მოასწრო გამომუშავება და დამზადება აუარება მხრჩოლავი და მომწამვლელი ნივთიერებისა.

უდავოა, რომ ყველა ეს ნივთიერებანი იქნებიან ხმარებაში შემოღებული ომის გამოცხადებისთანავე მტრის დასამარცხებლად.

სწრაფი ზრდა და განვითარება საჰაერო ფლოტისა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში მომასწავებელია იმისა, თუ რანაირად ემზადებიან ეს სახელმწიფოები ომისათვის.

ამზადებენ ისეთ თვითმფრინავებს, რომელნიც საათში შესძლებენ 500 ვერსტის გადაფრენას, და თან შესძლებენ 1000 ტონა მხრჩოლავი და ასაფეთქებელი ნივთიერებათა გადმოტანას.

ყველა სამხედრო-ქიმიურ საქმის სერიოზული მცოდნე პირები ფიქრობენ, რომ 50 სწრაფ მფრინავებს შეუძლიათ ვარშავიდან გადმოფრინდენ მოსკოვში 2-3 საათის განმავლობაში და თან მოიტანონ 100 ტონა მხრჩოლავი და საწამლავი ნივთიერებისა.

ასი ტონა ისეთი საწამლავი ნივთიერებისა, როგორც, მაგალითად, „ლიუისიტ“-ია, შეუძლია გაანადგუროს ისეთი უზარმაზარი ქალაქი, როგორც ნიუ-იორკია, რომელიც მოსკოვზე და თფილისზე რამოდენიმეჯერ დიდია.

ჰაეროპლანიდან „ლიუისიტ“-ის ასეთი რაოდენობის გამოშვების დროს ქალაქზე მოსახლეობა ვერ ასწრებს თავის დაფარვას და აირისაგან იწამლება.

აგრეთვე იწამლება ცხოველები და სურსათ-სანოვაგე.

მთელი ქალაქი, დედამიწა, შენობები და სხვა იმდენად იქნებიან მოწამლულნი აირით, რომ თითქმის რამოდენიმე დღის შემდეგაც მოწამლულ ქალაქში შესვლა შეუძლებელი იქნება.

როგორ იზრდებიან და კვდებიან მთები.

ჩვენ ვიცით, რომ ცეცხლის მფრქვევ მთებს მოაქვთ სრული აოხრება და განადგურება. როცა რომელიმე მთა ამოხეთქავს, ამ დროს მისი მოსაზღვრე მთები ძლიერი ნძრევისაგან იბზარებიან, ჩნდება მათში ნაპრალები, რის გამოც მთა შვავდება, ინგრევა და ხშირად კიდეც მოისპობა სრულიად.

ხოლო ზოგიერთი მთა კი „იბადება“ და იზრდება. მაგალითად, სრულიად ვაკე ადგილას ამოიბურთება ჯერ პატარა სივრცე, გაიზრდება თანდათან და ბოლოს გადაიქცევა ის ვეება მთად.

აი როგორ ხდება ეს: მექსიკაში, (ამერიკაში) სრულიად ტრიალ მინდორზე, სადაც იზრდებოდა შაქრის ლერწამი და სხვა მცენარეები, სულ მოკლე დროში გაჩნდა და გაიზარდა უზარმაზარი მთა. 165 წლის წინად ამ ადგილას გაისმა ყრუ გუგუნი მიწის სიღრმეში; შემდეგ იწყო მიწამ ნძრევა. მიწის ძვრა გაგრძელდა ხანგამოშვებით ორი თვის განმავლობაში. ბოლოს ეს ადგილი ამოიბერა უზარმაზარი ბურთივით სამი ვერსი სიგრძით და 80 საჟენი განით. 2 თვის შემდეგ ეს ადგილი გასკდა და გამოჩნდა საშინელი ნაპრალი, საიდანაც ამოცვივდა ქვები და ფერფლი და იწყო დენა ორთქლმა. შემდეგ გადმოიღვარა მიწის სიღრმეში გამდნარი ნივთიერება-ლავა. ნაპრალის სიგრძეზე გაჩნდა ექვს ალაგას ძაბრისებური მთის ყელი, საიდანაც იწყო დენა ლავამ და ასე ამ რიგად ამ ლავის დენისაგან რამოდენიმე ხნის შემდეგ გაიზარდა მთა.

ამ მთის გაჩენამდი იმ ალაგას მიდიოდა ორი მდინარე. როცა მიწა გაიბზარა მდინარეებმა იწყეს დენა მიწის ნაპრალში და შემდეგ იპოვეს გზა სიღრმეში. მიწის სიღრმიდან იმათ მოსძებნეს გამოსავალი ამ მთის მეორე გვერდიდან, მაგრამ ეხლა უკვე გამოვიდენ არა მდინარეებად, არამედ პატარა შადრევანებად. ამ შადრევანების წყალი ცხელი იყო. ეს მთა დღესაც სდგას მექსიკაში და ეწოდება **ხორულიო.**

რად გამოდის მიწიდან ცხელი წყალი?

ჩვენ ვიცით, რომ დედამიწის გულში იმყოფება გამდნარი ცხელი ნივთიერება, რომელიც სდუღს და თანდა თან ამრავლებს სიღრმეში ორთქლს.

ვიცით ისიც, რომ ორთქლი როდესაც გროვდება დედამიწის გულში დაწოლას ახდენს იმ არეში, სადაც ის იმყოფება; ეს დაწოლა მიმართულია იქეთ, საითაც ნაკლებ წინააღმდეგობას გაუწევს მას მიწის ფენა, თან და თან დასძლევს უკანასკნელს და ბოლოს კიდეც ამოხეთქავს.

ხშირად საქმე უფრო მშვიდობიანად თავდება. ამ ორთქლმა თუ მზა მხარეულად მიაგნო ნაპრალს, ამოხეთქა არ ხდება და შედარებით თავისუფლად გამოდის მიწის სიღრმიდან.

აი სწორედ როცა ასეთ გზას შეხვდება მიწის გულში ჩასული წყალი, თანდათანობით გასდევს მას და ის, აღუღებული სიღრმეში, გამოდის გარედ შადრევანებად და წყაროებად. ასეთი წყაროები საქართველოშიაც ბევრ ალაგას მოიპოება. ასეთია მაგალითად ტფილისში ის წყლები, სადაც აბანოებია გაკეთებული. არის ასეთი წყლები ბორჯომში და სხვაგან. ეს წყლები დედამიწის სიღრმიდან მოგზაურობის დროს გზადაგზა ხსნიან სხვა და სხვა ნივთიერებას და მოაქვთ თან, რისთვისაც მათ განსაკუთრებული ფერი, სუნი და გემო აქვთ.

მაგალითად ტფილისში წყლებს (სადაც აბანოებია) ახასიათებს გოგირდის სუნი, რისთვისაც მათ გოგირდის წყლებს ეძახიან.

რ—ინი.

ამბები სოფლებიდან—

მოსავალი გურიაში.

წელს მოსავალი გურიაში საშუალოთ უნდა ჩაითვალოს. ასეთ მოსავალს არ მოელოდენ, მაგრამ უკანასკნელათ ჰირნახულს კარგი ამინდი დაუდგა, რამაც იგი საგრძნობლათ გამოაკეთა.

საგლეხო სესხის განაღდება.

ოზურგეთის მაზრის რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირმა დაადგინა მიიღონ გადაწყვეტილი ზომები და უახლოეს ხანში დაასრულონ საგლეხო სესხის განაღდება.

ფოსტა გურჯაანში.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა გადმოიტანოს ფოსტა-ტელეგრ. განყოფილება სად. გურჯაანიდან სოფ. გურჯაანში, რაზედაც მან უკვე მიიღო სათანადო ნებართვა.

აჭარა-გურიის დასაკავშირებლათ.

ოზურგეთის სამ. აღმასკომმა დაადგინა დაიწყოს მუშაობა ე. წ. ბჟუჯის ხიდის ასაგებათ, რომელიც მჭიდროთ დაუკავშირებს გურია-აჭარას ერთი მეორეს.

საზოგადოება „კახეთის“ შუადგომლობა.

კოოპერატიულმა საზ-ბა „კახეთმა“ შუამდგომლობა აღძრა სიღნაღის აღმასკომის წინაშე, რათა გადასცეს მას საზოგადოების იმ წევრთა ვენახები, რომლებიც დასჯილ გადასახლებულ იქნენ მენშევიკურ-ბანდიტურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღების გამო.

ოზურგეთ-ჩოხატაურის რკ. გზა.

უკვე მიღებულია ნებართვა ოზურგეთ-ჩოხატაურის რკ. გზის მიმართულების გამოსაკვლევათ, რასაც შეუდგებიან მოსავლის მოწევის შემდეგ.

ახალი ამბები.

— **უპარტიო წითელ არმიელთა სადივიზიო ყრილობა.** ქართ. დივ. უპარტიო წითელ არმიელთა სადივიზიო ყრილობა გადაიდვა შემდეგისათვის. დრო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

— **წითელ-არმიელთა კლუბის შეკეთება.** ქართ. დივ. წითელ არმიელთა ცენტრალური კლუბის საფუძვლიანი შეკეთება დასრულდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებისათვის.

— **წერა-კით. უცოდ. ლიკვიდაცია წით. არმიელებში.** წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია გაზაფხულზე გაწვეულ წითელ არმიელებში განზრახულია დასრულდეს ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულებისათვის.

— **საკლუბო მუშაობის დაწყება.** 1-ლ ნოემბრიდან წით. არმ. ცენტრ. კლუბში დაიწყება სხვა და სხვა სექციების საკლუბო მუშაობა.

— **კლუბების უფროსთა თათბირი.** ხუთშაბათს, 15 ოქტომბრისათვის მოწვეულია ტფილისის გარნიზონის ქართული ნაწილების კლუბების უფროსთა თათბირი.

— **კვირეული ლენინგრადის პროლეტარიატის დასახმარებლათ.** დღეს, 12 ოქტომბერს, ტფილისის ყველა ხე-ტყის ქარხნებში იმუშავებენ წყალდიდობისაგან დაზარალებულ ლენინგრადის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

— **სწავლის მსურველნი.** მიმდინარე სამოსწავლო წელს ადგილების უქონლობის გამო სკოლის გარეშ დარჩა 4.499 ბავშვი, რის გამო ტფ. აღმასკომის საგეგმო კომისია დაადგინა გახსნას ახალი ჯგუფებ მათ მისაღებათ.

— **ნაძალადევის მუშებში.** ნაძალადევში ტფ. პოლიტგანყოფილების მიერ გახსნილია ადგილობრ მუშებისათვის 19 წ. კ. უცოდ. სალიკვიდაციო პუნქტები.

— **ტფილისის გაწმენდა.** ტფილისში მოეწყო მშრომელთა არტ ლი „სანიტარი“, რომელიც გასწმენდს ქალაქს ნაგვისა და უწმინდურებისაგან.

— **საშუალო სწავლა დასრულებულნი.** წელს საშუალო ტექნიკუმები დაასრულეს (მთელ საქართველოში) 5.570 კაცმა. აქედან 2.30 ქალია.

— **სათესლე სესხათ.** ა. კ. სახელ საგეგმო კომისიამ დაადგინა მისც სათესლე სესხი: რაჭის, ლეჩხუმის, სიღნაღის, დუშეთის და თელავი მაზრებს.

ხელოვნება.

— **გასართობი მუშებისათვის.** პლეხანოვის სახელობის თეატრთან მოეწყო მუშებისათვის შახმატი, ბილიარდი და სხვა გასართობები.

— **კავსაძის გუნდი.** ტფილისი სადგურის რკ. გზელ მუშებისაგ მ. კავსაძემ შეადგინა ცალკე მომღერალთა გუნდი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

გაზეთ „წითელ-არმიელის“ 614 №-ში მოთავსებულია პოლიტხელ ნოწარელის წერილი შემდეგი სათაურით: „თანამდებობის მოტრფიალენი“.

წერილი მომართულია ჩემს წინააღმდეგ. ამხ. ნოწარელი ამბობს თითქოს, როდესაც მე დაბალი თანამდებობა მეჭირა ლეგიონში, მაშინ ძალიან კარგ განწყობილებაში ვიყავი წითელ-არმიელებთან, ხოლო ამაღლების შემდეგ ვითომ სრულებით შეიცვალა ჩემი ამხანაგური განწყობილება მათთან. რომელ თანამდებობის აწევაზედ ლაპარაკობს ამხ. ნოწარელი?

მაშინ, როდესაც მე-3 ტერ ლეგიონში ვარ ჯერ-ჯერობით იმ თანამდებობაზე რომელზედაც ვიყავი.

აქ აშკარავდება ამხ. ნოწარელი შეცდომა, დაწერილის უსაბუთობა, მიუხედავად იმისა რომ ძლიერ ცდ ბა, როდესაც ლაპარაკობს ცხვირ მაღლა აწევაზე და არც ერთ ფაქტის მოყვანა არ შეუძლია მაინც ვსთხოვ მიმითითოს ასეთებ და მე თვითონ შევეცდები მის მოსწორებას, მაგრამ საქმე იმაში რომ ასეთის დასახელება მას არ შ უძლია.

სინამდვილის გამოსარკვევათ ჩემი სიმართლის ფაქტიურად აღ გენის მიზნით ვიწვევ სამედიატორ სასამართლოში ამხ. ნოწარელს ჩემის მხრივ ვასახელებ წითელ-არ მიელებს ამხ. ამხ. კუციას, ქო ვას და პოლიტხელს გაბისონიას.

მეთაური შ. ბოსიკაშვილი.

დავკარგე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლ ტეხნიკურ ფაკულტეტიდან გაცემული პირ დობის მოწმობა გიორგი ლევანის-ძე მიქელაძის სახელზე. ჩაითვალ გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც ტირაჟი 1.500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ჰუჩიძე